

უძრავი ნივთის (მომავალი საკუთრების) ნასყიდობის ხელშეკრულება 20--- წლის ---

1. ხელშეკრულების მხარეები:

- 1.1. ----- წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, რომელიც მოქმედებს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის შემდგომში **გამყიდველად** წოდებული.
- 1.2. ----- წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის შემდგომში **მომავალ მყიდველად** ან/და **მომავალი მესაკუთრე** წოდებული (მოქმედი პარტნიორთა გადაწყვეტილების, კრების ოქმი ----- საფუძველზე)
- 1.3. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, **გამყიდველი და მომავალ მყიდველად ან/და მომავალი მესაკუთრე** ერთად მოიხსენებულნი როგორც **მხარეები**.

2. ხელშეკრულების საგანი და ხელშეკრულების საგანის ტექნიკური და გეორგაფიული მახასიათებელი:

2.1. **გამყიდველი მომავალ მყიდველს** გადასცემს საკუთრების უფლებას უძრავი ნივთზე (მიწის ნაკვეთს --- ----- და მასზე განთავსებულ/არსებულ შენობა ნაგებობას ----- კვ/მ ოდენობით) (მუხლ 6 შესაბამისად) რომლის ტექნიკური და გეორგაფიული მახასიათებლები მითითებულია მუხლ 2.2.-ში, ხოლო უძრავი ნივთის ნივთობრივი მდგომარეობა ასახულია დანართ 1-ში, (უძრავი ნივთის მდგომარეობის ფოტო და ვიდეო მასალა, თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დანართი 1-ის სახით, დანართი 1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს). გამყიდველის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე დასტურდება, საჯარო რეესტრის ამონაწერით, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: -----

2.2. საკადასტრო კოდი: ----- მისამართი: ----- ,

3. გამყიდველის საკუთრების უფლება ხელშეკრულების საგანზე (უძრავ ნივთზე):

3.1. **გამყიდველი** არის ერთადერთი რეგისტრირებული მესაკუთრე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ----- სარეგისტრაციო სამსახურის მიერ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის მისამართზე: ქალაქი , N 1; საკადასტრო კოდი: -----; ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება; ნაკვეთის დანიშნულება : -----

3.2. **გამყიდველის** საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე და მისი უფლებრივი უნაკლობა (იპოთეკა და საგადასახადო გირავნობა: რეგისტრირებული არ არის. ვალდებულება: ყადაღა/აკრძალვა: რეგისტრირებული არ არის. მოვალეთა რეეტრი: რეგისტრირებული არ არის) ხელშეკრულების დადების მომენტისთვის დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან _ განაცხადების რეგისტრაცია: № დრო: მომზადების თარიღი:

4. ნასყიდობის საგანის აღწერა და მისი ნივთობრივი მდგომარეობა.

4.1. ნასყიდობის საგანი არის შემდეგ მდგომარეობაში:

4.2. ნასყიდობის საგანში არ არის მოთავსებული ინვენტარი.

4.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების საგანი შეთანხმებული ხარისხისაა, კერძოდ **მომავალი მყიდველისათვის** ნივთობრივი მდგომარეობა სრულებით არის ცნობილი, მას შემოწმებული აქვს აღნიშნული ნივთის ნივთობრივი მდგომარეობა და ის თანახმაა მიიღოს საკუთრებაში აღნიშნული ნივთი იმ ხარისხით რომელი ხარისხითაც არის აღნიშნული ნივთი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის.

4.4. მხარეები თანხმდებიან, რომ მომავალი მყიდველისათვის ცნობილია უძრავი ნივთის მიმდებარე (მეზობელ) ნაკვეთი/ებზე არსებული უფლებრივი მდგომარეობა და მათი მესაკუთრეების შესახებ, და მყიდველი თანახმაა შეიძინოს უძრავი ნივთი იმ მდგომარეობაში რომელ მდგომარეობაშიცაა ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის.

5. მხარეთა უფლება მოვალეობანი:

5.1. გამყიდველი ვალდებულია:

5.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად საკუთრების უფლება გადასცეს მომავალ მყიდველს მუხლ 3.1. მითითებულ უძრავ ნივთზე, მომავალი მყიდველის მიერ მუხლ 6-ით გათვალისწინებული ვალდებულების სრული და ჯეროვანი შესრულების შემდგომ.

5.1.2. მყიდველს გადასცეს უფლებრივად უნაკლო ნივთი, წინამდებარე ხელშეკრულების მუხლ 3.2. შესაბამისად.

5.1.3. მყიდველს გადასცეს ნივთობრივად იმ ხარისხის ნივთის რომელიც მხარეები მიერ არის

შეთანხმებული წინამდებარე ხელშეკრულების მუხლ 4.3. შესაბამისად.

5.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების და მუხლ 6-ის შესაბამისად მიიღოს უძრავი ნივთის ნასყიდობის საფასური მომავალი მყიდველისგან.

5.1.5. მიაწოდოს მომავალ მყიდველს ნებისმიერი ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია უძრავ ნივთთან(გამყიდველის მხრიდან ასეთი მოთხოვნისა და ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5.2. გამყიდველი უფლებამოსილია:

5.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მომავალი მესაკუთრის მიერ მუხლ 6-ის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვოს მომავალი მყიდველის (მესაკუთრის) უფლების გაუქმება უძრავ ქონებაზე.

5.2.2. მოსთხოვოს ნასყიდობის საგნის ფასის სრულად ანაზღაურება მომავალ მყიდველს.

5.2.3. იმ შემთხვევაში თუ, მომავალი მესაკუთრე წინამდებარე ხელშეკრულების მუხლ 6-ის, შესაბამისად გამყიდველს არ გადასცემს ნასყიდობის საგნის საფასურს სრული ოდენობით დათქმულ დროსა და ვადაში, გადახდილი თანხა ----- ლარის ოდენობით რჩება გამყიდველს.

ნასყიდობის ხელშეკრულების სრული ვერსიის მისაღებად/საადვოკატო და იურიდიული კონსულტაციის მიღებისათვის დამიკავშირდით შემდეგ მისამართებზე: www.advokontu.ge facebook: Guram Kontuadze
tel/viber/whatsapp: +995591976764 ელ. ფოსტა: guram.kontuadze@gmail.com
ადვოკატი გურამ კონტუაძე, სრული იურიდიული და საადვოკატო მომსახურება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
პრეცედენტებს ვეძნით ჩვენ



